ხაშურის მოამბე

№7 (289) 15 მარტი, ორშაბათი, 2021 წელი

დღეიდან, ხაშურში, კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო აცრები იწყება

მთელი ერთი წელი ველოდით ამ დღეს. ველოდით მოუთმენლად, ველოდით იმედით და ოცნებითაც კი. სწორედ ერთი წლის წინ დაფიქსირდა საქართველოში კოვიდ-19-ის პირველი შემთხვევა და მას შემდეგ, მთელი მსოფლიოც და ჩვენც ამ დღის მოლოდინში ვიყავით. მეცნიერთა თავდაპირველი ვარაუდით, ვაქცინა შესაძლოა სექტემბრის (გასული წლის) ბოლოს გამოჩენილიყო, შემდეგ, პერიოდულად, ეს თარიღი ჯერ ოქტომბერში, შემდეგ ნოემბერში გადაიწია. თუმცა, არც მაშინ დაადგა საშველი და მხოლოდ დეკემბრის დასაწყისში დაიწყო მსოფლიომ მასიური ვაქცინაცია. ყველა ქვეყანა რიგში ჩადგა. ჩვენნაირ პატარა ქვეყანას, აბა, რიგის თავში ვინ ჩააყენებდა და ისღა დაგვრჩენოდა, გვეცადა, გვეცადა მოთმინებით და კვლავ იმედებით. დროდადრო, იყო რაღაც „გამონათებები“, თითქოს იანვრის ბოლოს შეიძლებოდა ვაქცინას ჩვენამდე მოეღწია, შემდეგ უკვე თებერვლის პირველი დეკადა დასახელდა, თებერვლის ბოლო კვირაც და აჰა, მოლოდინი დასრულდა – ვაქცინა საქართველოშია, ვაქცინა უკვე ხაშურშია.

დავით ჩიქოვანი – ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი: (საუბარი ხუთშაბათს, 11 მარტს შედგა) – ჩვენი ცენტრი სრულიად მზადაა ვაქცინის მისაღებად. მწყობრშია ყველა შესაბამისი ტექნიკა და, პირველ რიგში, სამაცივრე დანადგარები. კვირას (14 მარტს) ვაქცინა უკვე ხაშურში იქნება. ამ წუთში, მიჭირს იმის თქმა, თუ რა რაოდენობის ვაქცინა გამოეყოფა ხაშურს, მაგრამ, ვფიქრობ, საკმარისი იქნება იმისთვის, რომ, საწყის ეტაპზე, აიცრას მედპერსონალი და 65 წელს ზემოთ მყოფი ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტები. აცრებს ორშაბათს (დღეს) დავიწყებთ და იმის დასტურად, რომ იგი უსაფრთხოა სკეპტიკოსების საპასუხოდ, რომლებიც თითო-ოროლა, მაგრამ მაინც არიან, პირველი მე ავიცრები. ვაქცინა „ასტრაზენკას“ ფირმისაა და მისი ეფექტიანობა ძალიან მაღალია. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, პანდემიის დაწყებიდან დღემდე, მუნიციპალიტეტში 2200-მდე დადასტურებული შემთვევვაა, სამწუხაროდ, აქედან ორმოცი ფატალურად დასრულდა. საერთო ტენდენცია კი ასეთია: მარტის დასწაყისში მკვეთრი კლება იყო, შემდეგ ოდნავ მოიმატა, მაგრამ საერთო საშუალო მაჩვენებელთან შედარებით საგრძნობი კლებაა. დიაგნოსტიკა ჩვენთან კვლავ უფასოა. ამჟამად მასიურ დიაგნოსტიკას გადიან პედაგოგები (ორ კვირაში ერთხელ), ამბულატორიული პაციენტები, საბავშვო ბაღების აღმზრდელები, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ბავშვთა სახლების პერსონალი და დიალიზზე მყოფი პაციენტები. და ერთი სასიხარულო ფაქტიც: ბოლო ორი დღეა (10-11 მარტი) არცერთი დადასტურებული შემთხვევა არ დაფიქსირებულა და ღმერთმა ქნას,

ასეც გაგრძელდეს...

მაშ ასე, გვირაბის ბოლოს სინათლე კი არა, უკვე გვირაბის დასასრულიც გამოჩნდა. შეიძლება „დასასრული“ ჯერ კიდევ გადამეტებული ნათქვამია, მაგრამ იმედია, ჩვენი გმირი მედიკოსების მართლაც საოცარი შემართებით, რეგულაციების უმკაცრესი დაცვით და, რაც მთავარია, ვაქცინის ჩარევით, პანდემიის სიცოცხლის დასასრულს უკვე ჩქარა ვიხილავთ.

ხაშურში პროფესიული კოლეჯის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ხაშურში, თანამედროვე სტანდარტების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მშენებლობის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

სამშენებლო სამუშაოები მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილმა, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულთან მამუკა საღარეიშვილთან და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორ დავით ფარცვანიასთან ერთად დაათვალიერა.

200 სტუდენტზე გათვლილ სამსართულიან შენობაში მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მაღალტექნოლოგიური სახელოსნოები და თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი. კოლეჯი სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირთათვის.

ხაშურის პროფესიული სასწავლებელი სტუდენტებს რეგიონის საჭიროებებზე მორგებულ პროფესიებს შესთავაზებს, როგორც გრძელვადიან, ასევე, მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამებს, მათ შორის: ელექტროობა, ქვის სამუშაოების წარმოება, კულინარია, კონდიტერია, საინფორმაციო ტექნოლოგიები, შედუღება, იატაკის მოპირკეთება, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მებაღეობა, სატყეო საქმე და სხვა. კოლეჯი აქტიურად ითანამშრომლებს როგორც კერძო სექტორთან, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

პროექტი, რომლის ჯამური ღირებულება 9 მილიონ ლარს შეადგენს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ ხორციელდება. სამშენებლო სამუშაოები 2021 წლის ზაფხულში დასრულდება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 16 დეკემბრის № 32 დადგენილებით.

დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 16 852,3 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტის ძირითად საბიუჯეტო ანგარიშზე, 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთის სახით ირიცხებოდა 2 239,7 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთი შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების და ადგილობრივი ბიუჯეტის ნაშთს, ხოლო 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 3 424,2 ლარს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების საფუძველზე, მიმდინარე წლის განმავლობაში, დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. 2020 წლის ბიუჯეტის მოცულობა განისაზღვრა 25 542,5 ათასი ლარით, რაც 8690,2 ათასი ლარით აღემატება თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებელს.

2020 წლის ბიუჯეტით განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი შემოსავლები (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლები), მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი ტრანსფერები.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2020 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო - რეალურმა კლებამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში და ახალი კორონავირუსის COVID-19-ის პანდემიიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, როგორც მსოფლიოს ისე საქართველოს და რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. არსებულმა გლობალურმა გამოწვევებმა საქართველოშიც შეამცირა 2019-2020 წლების ეკონომიკური ზრდის ტენდენციები. საშუალოდ 5%-იანი მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 2020 წლისთვის, ეკონომიკის მიმდინარე შეფასებით, რეალურად შემცირდა. აღნიშნულმა გავლენა მოახდiნა მაკროეკონომიკურ და ფისკალურ პარამეტრებზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2020 წლის 15 ვნისის 04-03/56914 წერილის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საორიენტაციო საპროგნოზო მაჩვენებლები შემცირდა 2 205.2 ათასი ლარით. ასევე შემცირდა სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების გაყიდვით მიღებული შემოსავლების მოცულობა. სულ, ჯამში, მუნიციპალიტეტის შემოსავლების დანაკლისი შეადგენს 2763.1 ათასი ლარს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები შემცირდა 950.0 ათასი ლარით. მათ შორის:

შრომის ანაზღაურება -189.4 ათასი ლარი;
სუბსიდია -453.9 ათასი ლარი;
სოციალური უზრუნველყოფა -25.0 ათასი ლარი;
სხვა ხარჯები -11.5 ათასი ლარი;
გრანტი -270.2 ათასი ლარით.

გადასახდელების შემცირება იმგვარად, რომ სრულად და კომპენსირებულიყო შემოსავლების მხარეს არსებული დანაკლისი, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს 1570 განკარგულების შესაბამისად „ახალი კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ“ შესაბამისად’ საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო ფინანსური დახმარება 1 850.0 ათასი ლარის ოდენობით.

2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიურმა საკასო შესრულებამ 26 282,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (24 517,950 ათასი ლარი) 107,19%-ს შეადგენს, შემოსულობების გეგმის შესრულება ცალკეული სახეობების მიხედვით კი შემდეგნაირად გადანაწილდა:

შესაბამისი პერიოდის გეგმასთან მიმართებაში, გადასახადების გეგმა (12 824,2 ათასი ლარი) შესრულდა - 102,6% (ფაქტი 13 157,7 ათასი ლარი), მათ შორის: დმატებითი ღირებულების გადასახადი გეგმა (10 524.2 ათასი ლარი) შესრულდა 104,3 %- ით (ფაქტი 10 985,4 ათასი ლარი), საწარმოთა ქონების გადასახადი გეგმა (1 244,8 ათასი ლარი) შესრულდა 85,9 %-ით (1 069,9 ათასი ლარი), ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი გეგმა 22,0 ათასი ლარი) ფაქტი 55,3 ათასი ლარი - 251,3%, სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გეგმა (გეგმა 165,0 ათასი ლარი) (ფაქტი 171,6 ათასი ლარი) 104% , არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი გეგმა (868,2 ათასი ლარი) (ფაქტი 691,2 ათასი ლარი) -79,6%.

სხვა შემოსავლების გეგმა (1 020,0 ათასი ლარი) შესრულდა - 105,3%-ით (1 074,3 ათასი ლარი), მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის (გეგმა 240,0 ათასი ლარი) – 92,29%-ით (ფაქტი 221,5 ათასი ლარი), მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის გეგმა (50,0 ათასი ლარი) ფაქტი 38,2 ათასი ლარი - 76,4 %-ით, მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა (200,0 ათასი ლარი) (ფაქტი 112,5) -56,25 %-ით, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან გეგმა (479,6 ათასი ლარი) (ფაქტი 557,5 ათასი ლარი) – 116,24%-ით, შემოსავალი მიწის იჯარიდან გეგმა 10,0 ათასი ლარი ფაქტი 7,3 ლარი –73% ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლების გეგმა 526,15 ათასი ლარი ფაქტი 589,2 ათასი ლარი შესრულდა – 111,98%-ით.

საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებით საბიუჯეტო შესრულება შეადგენს:

შრომის ანაზღაურება -1729.6 ათასი ლარი (96.3%);
საქონელი და მომსახურეობა -1560.3 ათასი ლარი (91.3%);
პროცენტი -89.6 ათასი ლარი (92.3%);
სუბსიდია - 5330.8 ათასი ლარი (92.9%);
სოციალური უზრუნველყოფა - 867.5 ათასი ლარი (97.8%);
სხვა ხარჯები - 555.4 ათასი ლარი (86.5%);
გრანტი - 432.8 ათასი ლარი - (72.8%)
არაფინანსური აქტივების ზრდა - 12217.1 ათასი ლარი - (87.3%).

2020 წლის მდგომარეობით, შემოსულობების საერთო ოდენობაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრების ხვედრითი წილი შეადგენს 29,09%-ს (7 646,7 ათას ლარს), „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე, სახელმწიფო ბიუჯეტში მიზნობრივი დანიშნულების ტრანსფერიდან დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გათვალისწინებულია- 225,0 ათასი ლარი, მიღებულია – 225,0 ათასი ლარი.

2020 წლის მდგომარეობით, გადასახდელების საკასო შესრულებამ 22 860,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისი პერიოდის გეგმის 89,49%-ს შეადგენს, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, გასაწევი ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების გეგმის შესრულება გადანაწილდა შემდეგნაირად: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 93% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 23,83%), თავდაცვა - 86,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 1,06%), ეკონომიკური საქმიანობა - 93,3% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 104,3%), გარემოს დაცვა - 97,2% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 15,01%), საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 88,22% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 14,92%), ჯანმრთელობის დაცვა - 95,18% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 0,97%), დასვენაბა, კულტურა და რელიგია - 94% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 24,6), განათლება - 83,27% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 24,83%), სოციალური დაცვა - 94,6% (ხვედრითი წილი მთლიან ხარჯში 10,76%, ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა ეკონომიკური კლასიფიკაციის ჭრილში შემდეგნაირად შესრულდა: მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯები - 96,27%-ით, სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯები-90,35%-ით, სუბსიდიები-92,99%-ით, გრანტები-72,78%-ით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 97,79%-ით, სხვა ხარჯები - 88,79%-ით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 87,28%-ით.

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პოექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის №2630 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 5 413 805 ათასი ლარი ინფრასტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, კერძოდ, აღნიშნული განკარგულებით, გათვალისწინებული იქნა ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის, სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტება, დაბა სურამში გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ნინოშვილის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ტალახაძის ქუჩის მოასფალტება, სოფელ მიწობში გზის მოასფალტება, დაბა სურამში მშვიდობის ქუჩის მოასფალტება, დაბა სურამში ჭონქაძის ქუჩის მოასფალტება, სოფელ ჩორჩანაში გზის საფარის მოწყობა, სოფელ ქვემო აძვისში გზის მოასფალტება. საკასო შესრულებამ შეადგინა 5 299 167 ლარი.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ„ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის 551 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 818 265 ლარი სოფელ ჩორჩანამდე მისასვლელი გზის მოასფლატებისთვის. საკასო შესრულებამ შეადგინა 797 807 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის 558 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ ხაშურის მუნციპალიტეტს გამოეყო 75 614 ლარი. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის 45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 71 984 ლარისა და „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ „საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 554 განკარგულების საფუძველზე, გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 3 630 ლარის, ჯამიდან - სულ 75 614 ლარიდან - 40 000 ლარი მიმართულ იქნა სოფელ ნაბახტევში მინისტადიონის მოსაწყობად, ხოლო 35 614 ლარი მცხეთიჯვარში მინისტადიონის მოსაწყობად. საკასო შესრულებამ შეადგინა 70267 ლარი.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებემოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის 27 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა 910 000 ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 487 646 ლარი. ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის, ხოლო ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველსაყოფად 86 135 ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 72078,06 ლარი.

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის 2752 განკარგულების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 844 000 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საკასო შესრულებამ შეადგინა 749 553 ლარი.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულებebი ნაწილობრივ დაიფარა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში, შევიძინეთ სპეც მანქანები. აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა შეადგენს 359.4 ათას ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 193,2 ათას ლარს სულ 552,6 ათას ლარს. 2020 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის 51,3 ათას ლარის და პროცენტის 33,2 ათას ლარის სულ 84,5 ათას ლარის დაფარვა. 01.01.2021 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 77,0 ათას ლარს, ხოლო პროცენტი - 107,3 ათას ლარს სულ - 184,3 ათას ლარი.

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

(დასასრული)

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს აღებული სესხით სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და ხაშურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა „ქ. ხაშურში მე-7 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია'' აღნიშნული პროექტის მთლიანი მოცულობა 904,3 ათას ლარს, აქედან გრანტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინანსება (30%) -271,2 ათასი ლარია, ხოლო მუნიციპალური თანადაფინანსება (20%) 180,9 ათასი ლარი ანაზღაურებულია. სესხის მოცულობა კი შეადგენს (50%) 452,1 ათას ლარს, ხოლო სესხის გადასახდელი პროცენტი - 282,2 ათას ლარს სულ 734,3 ათასი ლარი. 2020 წელს მოხდება მიმდინარე გადასახადის ძირის 38,3 ათასი ლარის და პროცენტის 43,8 ათასი ლარის სულ 82,1 ათასი ლარის დაფარვა. 01.01. 2021 წლის მდგომარეობით კი გადახდილი ძირი შეადგენს 75,4 ათას ლარს, ხოლო პროცენტი 132,0 ათას ლარს სულ 207,4 ათას ლარს.

პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობა არ აღემატება 30%-ს;

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის მიზნით ანაზღაურებულია 1723,2 ლარი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად ანაზღაურებულია 16923,71 ლარი (მომწოდებლები შპს „იბექსი'', შპს „ქროსფოინტი“).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 16 დეკემბრის №32 დადგენილებით, დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნა, სარეზერვო ფონდი და განისაზღვრა 150 300 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების საფუძველზე. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებულია შემდეგი ღონისძიებები:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 20 თებერვლის 416 ბრძანებით - ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის დაზიანებული სახურავის შესაკეთებლად მასალების შესყიდვის მიზნით _ 12 208,6 ლარი;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 16 მარტის 631 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის 1368 ლარი;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 18 მარტის 653 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების და მერიის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ების შეუფერხებელი მუშაობისათვის სამედიცინო აპარატურისა და ნივთების შესყიდვის მიზნით 800 ლარი;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 26 მარტის 683 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის და განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარების მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის სპეციალური სადეზინფექციო აპარატურის, არჭურვილობის და მასალების შესყიდვის მიზნით -1364 ლარი;
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის აპრილის 742 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის და განსაკუთრებულ ღონისძიებათა გატარების მიზნით, სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარებისათვის სპეციალური სადეზინფექციო კონცენტრირებული ხსნარის შესყიდვის მიზნით -4000 ლარი;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 აპრილის 765 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის -1368 ლარი;
7. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 აპრილის 765 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვის უზრუნველსაყოფად -80 000 ლარი;
8. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 15 მაისის 849 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის -140 ლარი;
9. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 27 მაისის 898 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით უფასო სასადილოთი მოსარგებლე ბენეფიციარების ბინაზე უფასო კვებით უზრუნველყოფისათვის -40 ლარი;
10. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 2 ივნისის 928 ბრძანებით - ახალი კორონა ვირუსის (covid-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე გაწეული საქმიანობისთვის, ეპიდემიური საფრთხის შემცირების გათვალისწინებით, მაღალი პროფესიონალიზმიდან და სამოქალაქო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ექიმ დავით ჩიქოვანის დაჯილდოვების მიზნით -1175 ლარი.
11. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 29 სექტემბრის 1574 ბრძანებით - ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ახალსოფელში მცხოვრებ შალვა გელაშვილის ოპერაციული მკურნალობისათვის -5000 ლარი.
12. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფებისათვის სხვადასხვა საკვები პროდუქტისაგან დაკომპლექტებული პაკეტების შესყიდვის მიზნით -40 000 ლარი.

ამრიგად, ხაშურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულმა ფინანსურმა რესურსმა ხაშურის მუნიციპალიტეტს მისცა ბიუჯეტის გადასახდელების გეგმით გათვალისწინებული პროგრამის, ღონისძიებების და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების საშუალება და შესაბამისად პროგრამების/ქვეპროგრამების და ღონისძიებების ძირითადი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა.

ლ. მაჭარაშვილი,
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი

პირველკლასელთა რეგისტრაცია დღეიდან იწყება !

საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის ვადები (I ეტაპი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განისაზღვრა შემდეგი წესით:

ა) ელექტრონული რეგისტრაციისათვის - 2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით პერიოდი;

ბ) დოკუმენტების წარდგენისათვის - 2021 წლის 29 მარტიდან 2021 წლის 24 აპრილის ჩათვლით პერიოდი.

2. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის ვადად (II ეტაპი) 2021 წლის 27 აპრილიდან 2021 წლის 11 მაისის ჩათვლით პერიოდი განისაზღვრა იმ კატეგორიის მოსწავლეებისთვის, რომელთა:

ა) და-ძმაც სწავლობს ამ სკოლაში;

ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია;

გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

3. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საყოველთაო რეგისტრაციის (III ეტაპი) ვადად იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა წრეს, განისაზღვრა 2021 წლის 13 მაისიდან 2021 წლის 5 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

4. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად ამ ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოსწავლეებისათვის განისაზღვროს 2021 წლის 8 ივნისიდან 2021 წლის 22 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

5. ამ ბრძანების პირველი - მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ ვადებში, მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების საჯარო სკოლაში წარუდგენლობის გამო გამოთავისუფლებულ/თავისუფალ ადგილებზე (IV ეტაპი) მოსწავლის რეგისტრაციისა და საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადად განისაზღვრა 2021 წლის 24 ივნისიდან 2021 წლის 10 ივლისის ჩათვლით პერიოდი.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6)

აღნიშნულ ტერიტორიაზე ვახტანგ VI-მ მთელი რიგი აღმშენებლობითი სამუშაოები გასწია. მან ე.წ. სურამის ჭალა გაჰკაფა და „ქმნა დაბნები.''

ვახუშტი ბატონიშვილის ამ ცნობაში უნდა ვიგულისხმოთ უკვე არსებული დაბების (სოფლების) მოშენება-მომძლავრება. აქ მოსახლეობისათვის დასახლებაში ხელშეწყობა,დახმარება და სხვა. ამავე დროს ვახტანგ VI მდ. შოლიდან გამოიყვანა სარწყავი არხი,რომელიც ზემო ჭალაზეც გადიოდა და რომლითაც სარგებლობდნენ ადგილობრივი მოსახლეობა. არხი ჰკვეთდა დღევანდელი რუსთაველის ქუჩას ლომოურის ქუჩასთან ახლოს, მიემართებოდა სამხრეთით, აქ ჰკვეთდა ბორჯომის ქუჩას ე.წ ჭალის მაღაზიასთან,გაივლიდა ჭალის ტერიტორიას,და გამოდიოდა ჭალის ძველი სასაფლაოსთან, კვლავ ჰკვეთდა ბორჯომის ქუჩას და მიემართებოდა ოსიაურისაკენ. ამ რამოდენიმე წლის წინ ეს არხი დაიხურა და დღეს ბეტონის მილებშია მოთავსებული.

ვახუშტი ბატონიშვილი „აღწერაში'' არაფერს არ ამბობს ზემო ჭალის შესახებ, არც თავის მიერ შედგენილ რუკაზე აქვს დატანილი, მაგრამ ამას ვფიქრობთ, რომ არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ზემო ჭალა, როგორც დავინახეთ, XVIIIს 10-იან წლებიდან უკვე მოიხსენიება საისტორიო დოკუმენტებში.

პირველი დოკუმენტი, რომლშიც ზემო ჭალა („ჭალის სოფელი ზემო“) გვხვდება არის 1715 წლის რუისის სამწყსოს დავთარი, რომელშიც დაფიქსირებულია 11 კომლი საეკლესიო გლეხი:

ქ. ბლიაძე გია;
ქ. კიკაძე შიო;
ქ. აიშაშვილი ლეკვია;
ქ. ქადაგიშვილი გივი;
ქ. კმალაძე ბერი;
ქ. ჩადუნელი ხოსია;
ქ. კახი ბერუკა;
ქ. კვამლაძე ჯავახი;
ქ. იორდანაშვილი მამუკა;
ქ. ხარშილაძე ბერი;

ზემო ჭალა უნდა იყოს 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრისეული „სათვესელი ჩალა“ სოფელ თეზერთან, რომელიც „ახლოსაა ლებგურთან“ დავთრისეული „თეზერი“ - ტეზერია, რაც შეეხება ლუბგაურს ჩვენთვის უცნობია ასეთი ადგილი (ტოპონიმები).

დავთარში „სათესველი ჭალიდან“ დაფიქსირებულია 24 კაცი (კომლი). მითითებულია, რომ მიწის დღიური მფლობელია 50. „სათესველი ჭალის“ ოსმალური გადასახადები გაერთიანებულია ტეზრის გადასახადებთან, რაც საშუალებას არ იძლევა გარდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციისა სხვა მონაცემები

დავთარში „სათესველი ჭალიდან“ დაფიქსირებულია შემდეგი პირები:

გივი ძე ბილარასი	შიო ძე მისი;
თამაზა ძე მისი	ბაჩუა ძე ხოსიასი;
შიო ძე შოშიდასი	გიორგი ძე მისი;
თედორე ძმა მისი	ლომინა ძე კუმილისა;
ონია ძე აბაშასი	დათუნა ძე მისი;
იასე ძე მისი ლომინა ძე ბირიკასი;	
ბერი ძე აჩიკ ბაშისა	მალიარა ძე ბერისა;
სულხანა ძე მისი	ბერი ძე გიორგისა;
ბაჩუა ძე შუნისასი	ბერი ძე დათუნასი;
ბირალ ძე მისი	ზურაბ ძე დესურისა აზნაურია;
ბერი ძე ადილარასი	თამაზა ძე მისი;
ბასილა ძე მისი	ბაბუნა ძე აბადიარისა.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, სურამის ჭალაში მამულებს ფლობდნენ ჩხეიძეები, რომელთაგან შემდგომ აბაშიძეებმა შეიძინეს, რომლებიც ასევე ფლობდნენ აქ მამულს. კერძოდ 1711 წლის 10 მაისს ქაიხოსრო მეფე ვახუშტი აბაშიძეს ქართლში სხვა მამულებთან ერთად აძლევს „...ჭალზედ სახასო მიწებს“.

1731 წლის 5 თებერვალს, ისაყ ფაშას ბრძანებით, ჭალაში მიწებს ვახუშტი აბაშიძეს უბრუნებს. არ ჩანს, რატომ დასჭირდა ისაყ ფაშას ასეთი ბრძანების გამოცემა, ან ვახუშტი აბაშიძე რატომ ვერ ფლობს ამ დროს მიწებს ჭალაზე.

„ვეზირი ისაყ ფაშა ვიკადრებ ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატივცემულს აბაშიძეს ვახუშტის ასე უანბთ, მერმე ჭალაში მიწები, როგორც... შენზედ დაეწეროს, ახლაც ისევ შენ დაიჭირე, სხვას ხელი ნურავის აქვს და ნურავინ გეცილების...''

მერალიბეგ ციციშვილის არზაში, რომელიც XVIII საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს არის შედგენილი, მოხსენებულია ზემო ჭალა. „ამ თარიღში /თარიღი უცნობია – თ.ლ/ მე /ე.ი. მერალიბეგ ციციშვილი/ ყეენის კარზე ვიყავი ჩაფრათ. რომლისაც კბილაძის მოხდომაზე მამკვდარა, ის კაციც მზათ აზირში არის, აბაშიძის მამულში სურამის ბოლოს ჭალას სახლობს''.

1751 წელს, როსტომ და დავით ჩხეიძეები აბაშიძეებს აძლევენ ჭალას: „.... მოივყიდეთ ხელმწიფის წყალობა მამული ჭალა ზეით ცხრომუხის (ცხრამუხის-თ.ლ.) სირონამდის (საზღვრამდე-თ.ლ.) ქვეით ქვედა ჭალის სირონამდის იქით ბოტკებამდი, კიდევ ზეით, გვერდოზედ ბოლოკაბის მიწის მიდგმამდე“

ჩვენ, ამ შემთხვევაში, ციციშვილის არზის შინაარსი არ გვაინტერესებს. ჩვენთვის საყურადღებოა ციციშვილის არზის შემდეგი სიტყვები: „ის კაციც... აბაშიძის მამულში სურამის ბოლოს ჭალას სახლობს''.

როგორც 1755 წლის თეიმურაზ II-ის ბრძანებიდან ჩანს, ერთის მხრივ მურვანიშვილებსა და სურამლებს და მეორეს მხრივ აბაშიძეებს დავა აქვთ „ჭალის საქმეზე.'' ბრძანების მიხედვით, თეიმურაზი მათ ავალებს საქმის გარჩევას პაატა აბაშიძესთან.

„ჩვენი ბრძანება არის მურვანისშვილებო და სურამელებო!

ჭალის საქმეზე რომ ლაპარაკობთ, აბაშიძე ნიკოლოზ რომ წამოვიდეს, როცა წამოვიდეს თქვენც თან წამოყევით, თუ ნიკოლოზს საქმე რამ აქონდეს და ვერ წამოვიდეს, პაატა აბაშიძე აქ არის. როცა ნიკოლოზმა გითხრათ, წამოდით პაატას ელაპარაკენით''.

ზემო ჭალაში, XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან, მკვიდრდებიან ქვიშხეთელი აბაშიძეების განაყოფები, რომლებიც აქ XX ს-ის 20-იანი წლების შუა ხანებამდე არაინ.

ირკვევა, რომ აბაშიძეებს ჩხეიძეებისგან შეძენილი მიწები შემდგომში შეუწირავთ იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის, აგრეთვე თავიანთი მამულებიც. დოკუმენტი, რომელშიც საუბარია ზემოთ აღნიშნულზე, მიეკუთვნება 1836 წლის 15 ნოემბერს და წარმოადგენს ლევან აბაშიძის მიერ იტრიის ეკლესიისადმი მამულის წყალობის წიგნს.

სოფელ ზემო ჭალასთან დაკავშირებულია რამდენიმე ეპიზოდი XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. ეს ეპიზოდები ლეკიანობას ეხება.

საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ (1793 წ) განსაკუთრებით გახშირდა ლეკთა თავდასხმები ამ მხრივ, განსაკუთრებით აქტიურობდა ახალციხის ფაშა სულეიმან ათაბაგი, რომელმაც „აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა“.

1783 წელს, ზემო ჭალასთან, რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა ლეკთა 2000-იანი ლაშქარი, თეიმურაზ ბაგრატიონი ამ ფაქტთან დაკავშირებით მოგვითხრობს: „განერცნა უკუე ტყვენვაი ახალციხით ლეკთაგან, სადაცა, კ(ვალა)დ შეკრბენ უმეტეს ორი ათასისა მხედრობისა. მოვიდნენ და აღიღეს საქმეთი და ტყვე ჰყავს სახლელი დიასამიძისა, სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთა მყოფთა მორიგეთა მიუგებენ ჭალას, იქმნა მუნ ბრძოლა, მხნედ ბრძვეს ქართველთა, იძლევიან ლეკნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომლი მტკვართა შიგან შესრულნი მოიშვევნენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცებიდან ერთმა ტყვეთაგან ქართველმან შეიპყრა შემპყრობი თვისი ლეკი და მოიყვანა მხედრობისა შინა ქართვეთასა“.

1783 წელს, ახალციხის მხრიდან 2.000 ლეკი შემოვიდა ქართლში. ისინი „...მოვიდნენ და აღიღეს საქაშეთი... და ტყვე ჰყვეს სახლეული დიასამიძისა. სცნეს სურამს მყოფთა რუსთა და ქართველთა მორიგეთა, მიეგებნენ ჭ ა ლ ას /ხაზი ჩვენია – თ.ლ/. იქმნა მუნ ბრძოლა. მხნედ იბრძვეს ქართველთა, იძლივნენ ლეკნი და ესრეთ შიშვნეულ იქმნენ, რომელ მტკვართა შიგან შესრულნი მოიშთვნენ უმეტეს ათასისა კაცისა. მუნ დიაცმან ერთმა ტყვეთაგანმან ქართველმან შეიპყრა თავისი ლეკი და მოიყვანა მხედრობასა შინა ქართვეთასა''.

1785 წლის შემოდგომაზე, ქართლში, ომარ ხანი შემოვიდა 25 ოქტომბერს იგი იმერეთში გადავიდა და 27 ოქტომბერს ვახანის ციხეს მიადგა, ალყაში მოაქცია. ერეკლე მეფე რუს-ქართველთა ჯარით სურამისკენ გაეშურა. იმერთა მეფე დავითი და კაცია დადიანი ჯარით ს. მარელისში მივიდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ 1 ნოემბერს სობ ნებოძირთან შეერთებოდნენ ერეკლე მეფეს

30 ოქტომბერს ომარხანმა ვახანის ციხე აიღო და ააოხრა, აბაშიძის ქილები დაატყვევა: მაია თვისით შეირთო, ხოლო მეორე სიძეს იბრეიმხანს ჩაჰგვარა შუშაში.

1 ნოემბერს ლეკები გამობრუნდნენ ვახანიდან ახალციხისგან და აბასთუმანში დადგნენ 2 ნოემბერს ლეკები მთლიანად გავიდნენ იმერეთიდან. ქართველ-რუსის ჯარი სოფ ბეკამში დაბრუნდა და სოფ ჭალის ქვემოთ დაბანაკდა. აქედან ერეკლე მეფე ჯარით გორს ჩამოვიდა და 11 ნოემბერს ტფილისში ჩავიდა.

ზემო ჭალა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის არაერთ დოკუმენტში მოიხსენიება.

1770 წლის მაისით დათარიღებულ დოკუმენტში რომელიც წარმოადგენს სოფლების სიას, რომელთაც რუსებისთვის უნდა მიეყიდათ ფქვილი ნათქვამია რომ „ქ ჭალამ ფქვილი ხარვარი ოცი“.

ამავე პერიოდის ერთ-ერთი დოკუმენტით ჭალელებს ევალებოდათ სამი ოც-ოც ადლიანი ხის დამზადება. დოკუემნტში ნათქვამია: „სააბაშის ჭალაში სამი ხე ოც-ოცი ადლი უნდა იყოს“.

ოთარ ამილახორი ამავე დოკუმენტით ერეკლე მეფისგან წყალობას ითხოვს, რომ ყაზახები მებოძოს რომ სიჩქარით მოვატანინო ეს ხეები“.

ზემო ჭალაზე უნდა იყის საუბარი გიორგი ჭონქაძის მიერ 1793 წლის 12 აპრილს გიორგი და იოანე აბაშეიძეებისათვის მიცემული ბატონყმობის წიგნში გიორგი და იოანე ვახუშტი აბაშიძის შვილიშვილები არიან ნიკოლოზ აბაშიძის შვილები

„ესე წიგნი მოგართვით თქვენ, აბაშიძის სალხუცესს გიორგის და თქვენს ძმას სალთხუცესს იოანეს ჩვენ, ჭინჭარაძემ გიორგიმ და ძმამ ჩემმან თევდორემ, ასე რომ ამას წინათაც თქვენი ნაყმევი გახლდით. უდროობის გულისთვის ავიყარენით და ჯავახეთს გადავედით და იქ ფათერაკად ერთი თათარი შემოგვაკვდა. იქიდამაც ავიყარენით და ორნივ ძმები ჭალაზედ გასვლით ხუთი წელიწადი იქ თქვენს მამულზედ გახლდით.მერე აქ ქალაქში მუშაობა და მოსაგების გულსითვის ჩამოვედით და ცოლი შევირთევ და აქ გახლავართ თქვენს მეტი ბატონი და პატრონი არავინ მინდოდეს და არც ასაკი ჰქონდეს, საქმე ჩემთანა თქვენს მეტსა ჩემთანა. აქ ვიყოთ თუ იქ, თქვენს საფარველს ქვეშ გახლდით. თქვენ ჩვენი შემნახველნი და მპატრონებელი ბრძანდებოდეთ, რომ უბრალოდ არავინ გაგვგლიჯოს და ჩვენ თქვენი ერთგულნი ყმანი გახლდეთ“.

ბატონყმობის წიგნს სხვა მოწმეებთან ერთად ხელს აწერს სურამელი ჯოხაძე, (ალბათ ჯობაძე) დემეტრე და აბაშიძეების აზნაური დავით სავანელი რაც კდიევ ერთხელ მოგვაგონებს რომ ჭინჭარაძეები, აბაშიძეების მამულში, ჩვენთვის საინტერესო ჭალაში სახლობენ. სხვათაშორის აქ ჭინჭარაძეები ჭინაჭარაშვილებად მოიხსენიებიან.

ზემო ჭალის შესახებ არანაირ ცნობას არ გავწვდის იოანე ბატონიშვილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში'', რომლიც XVIII საუკუნის 90-იან წლებშია შედგენილი და ამ დროს, როგორც უკვე დავინახეთ, ზემო ჭალა არსებობს. სამაგიეროდ ი. ბაგრატიონი „კალმასობაში'' ზემო ჭალის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა. კერძოდ, მისი ცნობით, XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულში ზემო ჭალა ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა და ამ საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართულები აქაური აბაშიძეები.

1818 წლის აღწერით, ზემო ჭალაში დაფიქსირებულია 34 კომლი საბატონო ყმა გლეხი, სულ 194 კაცი. ყმა გლეხები ძირითადად ეკუთვნოდათ აბაშიძეებს. აქვე რამდენიმე კომლს ფლობდნენ სავანელები და ჩხეიძეები.

თავად ივანე აბაშიძეს ეკუთვნოდა 18 კომლი. სახელდობრ: სიმონ კიკნაძე, გიორგი მალიძე, სიმონ მალიძე, სოსია ვეშაპიძე, ივანე ლალაშვილი, თომა ბითაძე, სიმონ ბითაძე, ბუჭუა ტალახაძე, თეოდორე სომხიშვილი, გიორგი ლომინაშვილი, გაბრიელ ლომსაძე, დავით ლაცაბიძე, ივან ჩაჩანიძე, გოგია ღონღაძე, გიორგი ღონღაძე და სხვები.

თავადი ლევან აბაშიძე 14 კომლ გლეხს ფლობდა. ესენი იყვნენ: სოსია ბიბილური, ივანე ლომსაძე, დავით კახიშვილი, სოსია ჯაფარიძე, ოტია ჯაფარიძე, გოგია ჩიტაძე, გიორგი ლაცაბიძე, სოსია ლომსაძე, გოგია ტალახაძე, ანდრო ხიზანიშვილი, გოგია წეველიძე და სხვები.

აზნაური ელიზბარ სავანელი მხოლოდ 2 კომლ გლეხს ფლობდა: ივანე რაზმაძეს და ზურაბ გოსტაშაბიშვილს.

ამ დროს ზემო ჭალის მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მთლიანად ქართულია.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- სოფლის მეურნეობა -

ნათია ბირთველიშვილი - ცხოველები მიყვარს და მათთან ურთიერთობა ჩემთვის სასიამოვნოა

ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სიძლიერისათვის სოფლის მეურნეობის აღორძინება უმნიშვნელოვანესია. ნოყიერი ნიადაგების, წყლის რესურსებისა და კლიმატის გათვალისწინებით, საქართველოში იდეალური ბუნებრივი პირობები გვაქვს სოფლის მეურნეობის განვითერბისათვის. ამ საქმეში კი უდიდესი მნიშვნელობა მცირე საოჯახო მეურნეობებს ენიჭება. ხაშურის რაიონის სოფელ გომში მცხოვრები ქალი ფერმერი, 39 წლის **ნათია ბირთველიშვილი**, რომელზეც დღეს მინდა გიამბოთ, ათეული წლის წინ საზღვარგარეთ გაემგზავრა მეუღლესთან იგორ დალაქიშვილთან ერთად. იქ ბიზნესი წამოიწყეს და ცხოვრება დალაგდა. უცხო მიწაზე 12 წელი გაატარა. თუმცა, 3 წლის წინ, საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტეს და მშობლიურ სოფელს, მამა-პაპისეულ კარ-მიდამოს დაუბრუნდნენ. ძველი სახლის მაგივრად ახალი ააშენეს, დაამშვენეს... ნათიას ბევრი არ უფიქრია და საკუთარი ინტერესი და სიყვარული ცხოველებისადმი, საქმიანობად და შემოსავლის წყაროდ აქცია. ხელი მიჰყო მეცხოველეობას. ნათიამ დასაწყისში 2 ფური და 2 გოჭი შეიძინა, შემდეგ, მეუღლის დახმარებით, ცხოველების სადგომისათვის შესაბამისი შენობა-ნაგებობები ააგო და ასე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ნათიას ჩანაფიქრმა განხორციელება და განვითარება

დაიწყო ... და როგორც დღეს უკვე ქალი ფერმერი, ამბობს, რომ შინაურ ცხოველებს სიამოვნებით უვლის და ფერმის მოვლა-პატრონობა მისთვის ტვირთს არ წარმოადგენს. ნათიას ამჟამად საკუთრ ეზოში გაშენებულ მეცხოველეობის ფერმაში 1000 წიწილი, 60 კვერცხმადებარი ქათამი, 5 ფური, 6 ღორი და 34 გოჭი ჰყავს. მის ცხოველებს კი რამდენიმე ქართული მეცხვარე და ნაგაზი იცავს.

დღემდე ნათია დაუღალავი შრომითა და მონდომებით მოვიდა, ბევრი რამ განავითარა, დაამატა, მთავარი სტიმული პროდუქციის რეალიზებით მიღებული შემოსავალი გახდა და საკუთარი ძალებით უძღვება თავის საოჯახო მეურნეობას. მისი დღე დილის 6 საათზე იწყება. ამბობს, რომ ცხოველების ყოველდღიურ მოვლას ყველაზე მეტი დრო, 2 საათი, დილით სჭირდება. შუადღით და საღამოს კი შედარებით ნაკლები დრო მიაქვს. მას მხოლოდ ერთი დამხმარე ჰყავს, რომელიც ფერმაში მძიმე სააქმეების შესრულებაში ეხმარება.

ამ ეტაპზე, ნათია საოჯახო მეურნეობას საკუთარი ფინანსური და მატერიალური რესურსით უძღვება, მხოლოდ საბანკო კრედიტებით სარგებლობს. სამომავლოდ გაფართოებას გეგმავს და ფიქრობს, რომ სახელმწიფო პროგრამებშიც ჩაერთვება.

რადგან ნათიას საქმიანობის დასაწყისში შესაბამისი გამოცდილება და პროფესიული ცოდნა არ ჰქონდა, იგი აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ ვეტერინართან, რომლის რჩევებსა და მითითებებს ზედმიწევნით ითვალისწინებდა ცხოველების მოვლისას, მათი ავადმყოფობის შემთხვევაში და ასე შემდეგ. ნათია ამ ეტაპზე თავად უტარებს ვაქცინიაციას საკუთარ ცხოველებს და ვეტერინარის როლიც თავად შეითავსა.

- ნათია, თქვენი ფერმა მრავალფეროვანია, რაც იშვიათია. ზოგადად, ფერმერები ერთ მიმართულებას ირჩევენ, რადგან მსგავსი მრავალფეროვნება დამატებით ფინანსურ რესურსსაც მოითხოვს

და ადამიანურსაც. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ასე გაგემრავალფეროვნებინათ თქვენი ფერმა?

- საქმიანობის დასაწყისში გამოცდილებას და ცოდნას ვაგროვებდი, მაგალითად, როდესაც ჩემს ფერმას წიწილები დავამატე, მხოლოდ 100 წიწილი მყავდა, შემდეგ 1000-მდე გავზარდე, შარშან 5000 წიწილი მყავდა. ასევე მყავს ფურები, 3 ხბო, რომელსაც მეტი ფუნქციურობა აქვს, რა თქმა უნდა. ვაწარმოებ და რეალიზაციას ვუკეთებ ყველს, მყავს ასევე ღორები, ძირითადად დუროკისა და იორკშირის ნაჯვარი ჯიშის, რომელსაც მეტი მატება აქვს, მყავს ერთი ინგლისური თეთრი, რომელიც გამორჩეულია ზრდით, მატებითა და ნამატით, მყავს 34 გოჭი და ასევე 4 თვეში ველოდებით 6 ღორისაგან ნამატს. ამ მრავალფეროვანი ცხოველებიდან მიღებული შემოსავალი ერთმანეთს ავსებს. თუმცა, ყველა მათგანში ღორებისაგან მიღებულ შემოსავალს გამოვარჩევდი, ამიტომაც, სამომავლოდ, ღორების გამრავლებაზე ვფიქრობ აქცენტის გაკეთებას.

- ბუნებრვია, ფერმის ცხოველების გამოკვება და მათი საკვებით უზრუნველყოფაც არ იქნება მარტივი. აწარმოებთ თუ არა თავად მათ საკვებს?

- მაქვს მიწის ნაკვეთები სოფელ ყელეთში, ვაყაში, ვთესავ იონჯას, სიმინდს, ხორბალს, თუმცა ჩვენი რესურსი არ გვყოფნის და ბუნებრივია, ვავსებთ ცხოველების გამოკვებას შეძენილი საკვებით.

- ნათია, არ არის თქვენთვის, როგორც ქალისათვის, დამოუკიდებლად საოჯახო მეურნეობის წარმოება რთული?

- იცით, ცხოველები მიყვარს და მათთან ურთიერთობა ჩემთვის სასიამოვნოა, ამიტომაც მათი მოვლა-პატრონობა, მათზე ზრუნვა, ჩემთვის სიძნელეს არ წარმოადგენს. თუ ის საქმე, რასაც ხელმ მოკიდებ, გიყვარს, არც ამ საქმის კეთება არის შენთვის დამღლელი და რთული. მე ისე



ვანაწილებ დღის განმავლობაში საქმეს, რომ დასვენებისა და საოჯახო საქმიანობისათვისაც დრო საკმაოდ მრჩება.

- ნათია, თქვენს მიერ ფერმის წარმოებიდან მიღებულ პროდუქციას როგორ უკეთებთ რეალიზებას?

- ჩემს მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზება ადგილზე ხდება, მე არ მიწევს ბაზარზე ყველის, კვერცხის, ხორცის თუ სხვა პროდუქტის გატანა. დაინტერესებული პირები, ადგილზე ახდენენ პროდუქტის შესყიდვას., რაც ჩემთვის კომფორტული და მოსახერხებელია.

- გაქვთ თუ არა სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, როგორც ქალ ფერმერს?

- რა თქმა უნდა, მჭიდრო ურთიერთობა მაქვს ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო ცენტრთან, რომელიც ინფორმაციული ხასიათისაა. სამსახურის წარმომადგენლებისაგან სისიტემატიურად ვიღებთ სახელმწიფოს მხრიდან არსებული რესურსების შესახებ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში დახმარებასაც.

დასასრულს, წარმატება გვინდა ვუსურვოთ ნათიას და მის მეცხოველეობის ფერმას. და ვიმედოვნებთ, რომ მისი ენთუზიაზმი და მონდომება, დაუღალავი შრომა, საქმის სიყვარული არც თუ უშედეგოა და სტიმულატორი გახდება დამწყები მეწარმე ქალებისათვის სოფლად თუ ქალაქად.

თეა ახალკაცი

ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს

ხაშურში, ქალთა საერთაშორისო დღე-8 მარტი, იმ ქალბატონებს მიულოცეს, რომლებიც ყოველდღიურად, ჩვენი მუნიციპალიტეტის დასუფთავებაზე და იერსახეზე ზრუნავენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილმა, ა(ა) იპ „ხა-

შურსერვისის“ ხელმძღვანელმა ნუკრი ცხოვრებაძემ და მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა, ა(ა) იპ „ხაშურსერვისის“ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს, ყვავილები, ტკბილეული გადასცეს და 8 მარტის დღესასწაული მიულოცეს.

აღნიშნული ღონისძიება, ტრადიციულ ხასიათს ატარებს და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, ყოველწლიურად, სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ქალბატონებს განსაკუთრებულად ულოცავს. ორგანიზატორი კი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურია.

სურამში მსხვილი ინვესტიცია შემოდის

ქვეყნის გაძლიერებისათვის, რომ ინვესტიციები ერთ-ერთი უცილობელი პირობაა, ეკონომიკის აქსიომაა. ინვესტიცია, უპირველესად, ბიუჯეტის მატებას და უმუშევართა არმიის შემცირებას გულისხმობს და როგორ სჭირდება ერთიცა და მეორეც დღეს საქართველოს, ყველასთვის ნათელია. ამიტომაც, ინვესტიციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სიახლე მართლაც

სასიხარულო და მნიშვნელოვანია. ქვემოთ მოყვანილი ფაქტიც ამ სიაშია და დიდი იმედის მომცემიც. ფაქტი კი ასეთია: სურამში მსხვილი ინვესტიცია შემოდის-შპს „ივერია“, 26 მაისის ქუჩაზე, ყოფილი პიონერთა ბანაკის

ტერიტორიაზე, რომელიც დღეს უკვე ამ შპს-ს საკუთრებაა, დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობას იწყებს. პროექტი დასრულებულია, შეთანხმებულიც და მშენებლობის ნებართვას, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური ამ დღეებში გასცემს.

კომპლექსის მშენებლობა რამდენიმე მილიონი დაჯდება. პროექტის თანახმად, აიგება ერთი დიდი კორპუსი და 22 კოტეჯის ტიპის შენობა-ნაგებობა. პარარელურად, მოეწყობა სპორტული მოედანი, საპარკინგე სივრცე, ბავშვთა გასართობი ადგილები, მისასვლელი გზები, კვების ბლოკები და სხვა ..... იმის გარდა, რომ აქ, მშენებლობაზე, ათეულობით ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდება, შემდეგ, როდესაც კომპლექსი ექსპლუატაციას დაიწყებს, ასევე მუდმივი სამუშაო ადგილები იქნება.

მკითხველს ვპირდებით, რომ ჩვენი ჟურნალისტები აუცილებლად შეხვდებიან შპს „ივერიის“ მმართველი რგოლის წარმომადგენლებს და ამის შემდეგ უფრო დაწვრილებით შეგვეძლება მოგითხროთ მშენებლობის ვადების და სხვა ნიუანსების შესახებ. მანამდე კი, დღეს, გთავაზობთ პროექტის გარკვეულ ნაწილს, რომ უფრო ნათელი იყოს, თუ რა მაშტაბის მშენებლობასთან გვაქვს საქმე და როგორი იქნება იგი მომავალში.

D

შევისყიდი კაკლის ხეს

შევისყიდი კაკლის ხეს, ფასი შეთანხმებით. შეგვიძლია კაკლის ან სხვა ჯიშის ხეების გადაბელვა (ტოტების შეცლა).

ტ. 551 16 19 84. დათო

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.